



ეკონომიკა

საკრედიტო რეიტინგი: 2026 წლის 7 აგვისტოს S&P-მ საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი BB დონეზე დაადასტურა, ხოლო პერსპექტივა სტაბილურიდან პოზიტიურამდე გააუმჯობესა. S&P-ის შეფასებით, პოზიტიური პერსპექტივა ასახავს ქვეყნის მაღალ ეკონომიკურ ზრდას, გონივრულ ფისკალურ პოლიტიკას და რეკორდულად მაღალ საერთაშორისო რეზერვებს, რაც ამცირებს საქართველოს მოწყვლადობას გარე შოკების მიმართ. S&P რეიტინგის ამოღებას განიხილავს, თუ საგარეო ბუფერები კიდევ უფრო გაძლიერდება ან ფისკალური მაჩვენებლები მოლოდინებს გადააჭარბებს.

საერთაშორისო რეზერვები: საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად, 2026 წლის ივლისში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები წლიურად 49.9%-ით გაიზარდა და ახალი რეკორდული დონე 7.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, წინა თვესთან შედარებით ივნისში რეზერვები 5.7%-ით გაიზარდა (+404.6 მლნ აშშ დოლარი). რეზერვების ცვლილება უკავშირდება მთავრობის და/ან საბანკო სექტორის სავალუტო ოპერაციებს და ასევე, სებ-ის მიერ უცხოური ვალუტის შესყიდვას BMatch-ის პლატფორმის გამოყენებით (ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება 25 აგვისტოს). აღსანიშნავია, რომ 2026 წლის ივლისის მდგომარეობით, მონეტარული ოქრო მთლიანი საერთაშორისო რეზერვების 13.5%-ს შეადგენს.

ინფლაცია: 2026 წლის ივლისში სამომხმარებლო ფასები 0.4%-ით შემცირდა წინა თვესთან შედარებით, რის შედეგადაც წლიური ინფლაცია 5.5%-მდე შემცირდა ივნისის 5.8%-დან. მთლიანი ინფლაციის შენელება ძირითადად განპირობებული იყო იმპორტირებული ინფლაციის (5.3%-მდე ივნისის 6.1%-დან) და შერეული საქონლის ინფლაციის (4.4%-მდე 6.2%-დან) შენელებით. ამავდროულად, ადგილობრივი ინფლაცია ივლისში 6.4%-მდე დაჩქარდა წინა თვის 5.7%-დან. რაც შეეხება საბაზო ინფლაციას, რომელიც კალათიდან გამორიცხავს სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს ფასებს, 3.5%-მდე გაიზარდა 2026 წლის ივლისში, წინა თვის 3.2%-ის შემდეგ. სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, 2026 წლის ივლისში წლიური ინფლაციის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებში: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები (+4.9% წ/წ, +1.74პპ), ტრანსპორტი (+14.2% წ/წ, +1.66პპ), კომუნალურები (+8.3% წ/წ, +0.80პპ), ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო (+5.6% წ/წ, +0.36პპ), ჯანდაცვა (+4.7% წ/წ, +0.40პპ), სასტუმროები და რესტორნები (+7.9% წ/წ, +0.27პპ), ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა (-2.4% წ/წ, -0.13პპ) და კავშირგაბმულობა (-6.3% წ/წ, -0.20პპ). ივლისში ჰორმუზის სრუტის ჩაკეტვამ ნავთობის მსოფლიო ფასების მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია, რაც, სავარაუდოდ, საქართველოში ენერგომატარებლების ფასების მოსალოდნელი შენელების ტემპზე იქონიებს გავლენას. აქედან გამომდინარე, 2026 წლის საშუალო წლიური ინფლაციის პროგნოზი 4.8%-დან 5.1%-მდე გაზარდეთ.


ტურიზმის შემოსავლები: ჩვენი შეფასებით, 2026 წლის ივლისში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები წლიურად 7.1%-ით გაიზარდა 590 მლნ აშშ დოლარამდე. ჯამურად, 2026 წლის იანვარ-ივლისში ტურიზმის შემოსავლები 2.5 მლრდ აშშ დოლარს გაუტოლდა (უცვლელი წ/წ). ჩვენი პროგნოზით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 4.9 მლრდ აშშ დოლარს მიაღწევს 2026 წელს, ხოლო 5.3 მლრდ აშშ დოლარს 2027 წელს.

ეკონომიკური ინდიკატორები

	2025	2026F
რეალური მშპ-ს ზრდა	7.5%	7.5%
მშპ ერთ სულზე (ppp)	29,329	33,660
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	9,678	11,146
მოსახლეობა (მლნ)	3.9	3.9
ინფლაცია (საშუალო)	3.9%	5.1%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	6.2	7.7
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	2.6%	2.3%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	1.4%	2.0%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	34.4%	33.0%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Baa2	


წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტ & ტაგარტი
*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

სებ-ის საერთაშორისო რეზერვები მლრდ აშშ დოლარი



წყარო: სებ

წლიური ინფლაცია



წყარო: საქსტატი, სებ



ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები/ობლიგაციები:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2026 წლის 4 აგვისტოს 2.6-წლიანი 40 მლნ ლარის (15.2 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ობლიგაციები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 3.5-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.006პპ-ით შემცირდა და 8.361% შეადგინა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2026 წლის 4 აგვისტოს 6-თვიანი 20 მლნ ლარის (7.6 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ობლიგაციები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 3.5-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.058პპ-ით შემცირდა და 8.211% შეადგინა.


უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2026 წლის 11 აგვისტოს, სადაც 1-წლიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და 10.1-წლიანი 30 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ობლიგაციები გაიყიდება.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2026 წელი

ვალდებულება	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	ვალის ნაშთი მლნ ლარი*
1 წლამდე	400	180	447
1 წელზე მეტი	1,545	660	12,265
სულ	1,945	840	12,712


წყარო: ფინანსთა სამინისტრო, გაღმართვა
* 2026 წლის ივნისის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საქსტატი

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას



ობლიგაციები

ქართული ევროობლიგაციები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამომშვების ს თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები Fitch/S&P/Moody	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 01/31	USD	500	5.125%	Jan-26	Jan-31	BB/BB/Ba2	97.22	5.84	172.78
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-21	Jun-28	BB-/BB-/	96.44	6.06	195.97
GEBGG 9 1/2 PERP	USD	300	9.500%	Apr-24	n/a	B-/B2	105.35	9.16	335.42
GEBGG 11/28	GEL	450	11.500%	Nov-25	Nov-28	-/B2	102.01	10.46	n/a
GEBGG 06/31	USD	300	6.500%	Jun-26	Jun-31	-/B2	99.44	6.64	254.18
SILKRDH 09/30	USD	400	7.500%	Sep-25	Sep-30	BB-/B1	100.10	7.47	338.31
TBC 8.894 PERP	USD	75	8.894%	Nov-21	n/a	B-/B2	100.85	5.24	175.33
TBC 10 1/4 PERP	USD	300	10.250%	Apr-24	n/a	-/B2	107.31	9.40	340.32
CGEOLN 07/29	USD	300	8.875%	Jul-24	Jul-29	BB/BB/-	104.11	7.30	251.85

გალტი & ტაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg

ქართული ადგილობრივი ობლიგაციები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამომშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	ემიტენტის რეიტინგები	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %
USD								
Geo. Renewable Power Oper.	USD	73	7.00%	Oct-22	Oct-27	n/a	100.00	7.00%
Georgia Capital	USD	50	8.50%	Aug-23	Aug-28	BB-	101.08	8.13%
Silk Bank	USD	1	12.50%	Apr-24	Apr-29	n/a	n/a	n/a
JSC BasisBank	USD	20	7.00%	Aug-24	Aug-27	B+	n/a	7.00%
Liberty Bank	USD	3.6	11.00%	Sep-24	Sep-31	B+	n/a	n/a
Liberty Bank	USD	4	13.50%	Dec-24	n/a	B+	n/a	n/a
Tegeta Motors	USD	5	8.25%	Dec-24	Dec-26	BB-	n/a	n/a
MP Development	USD	17.7	8.50%	Apr-25	Apr-27	n/a	n/a	n/a
Tegeta Motors	USD	10	8.00%	Apr-25	Apr-27	BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	USD	10	8.00%	Apr-25	Apr-27	BB-	n/a	n/a
Energy Development Georgia	USD	10	8.50%	Jun-25	Jun-27	n/a	n/a	n/a
ALMA	USD	30	8.50%	Jul-25	Jul-27	n/a	n/a	n/a
Gudauri Lodge	USD	10	8.25%	Oct-25	Oct-27	n/a	n/a	n/a
IG Development	USD	25	7.75%	Dec-25	Dec-27	n/a	n/a	n/a
TBC Leasing	USD	30	7.25%	Dec-25	Dec-28	n/a	n/a	n/a
TBC Leasing	USD	15	7.25%	Dec-25	Dec-28	BB	n/a	n/a
Bank of Georgia	USD	15	4.20%	Dec-25	Dec-26	BB	n/a	n/a
Lopota	USD	1	7.75%	Apr-26	Apr-27	BB	n/a	n/a
Bank of Georgia	USD	40	5.00%	Apr-26	Apr-27	n/a	n/a	n/a
Nutrimax	USD	10	8.50%	May-26	May-28	n/a	n/a	n/a
IG Development Georgia	USD	39.5	7.25%	Jul-26	Jul-28	n/a	n/a	n/a
MP Development	USD	6.3	7.50%	Jul-26	Jul-27	n/a	n/a	n/a

გალტი & ტაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg, გალტი & ტაგარტი



ობლიგაციები

ქართული ადგილობრივი ობლიგაციები


გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამომშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	ემიტენტის რეიტინგები	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %
EUR								
Chavchavadze 64B	EUR	3	7.75%	Aug-24	Aug-26	n/a	n/a	7.75%
ALMA	EUR	8.5	7.25%	Jul-25	Jul-27	n/a	n/a	n/a
IG Development	EUR	15	6.50%	Dec-25	Dec-28	n/a	n/a	n/a
Tegeta Motors	EUR	7.5	6.25%	May-26	May-28	BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	EUR	3.5	6.25%	May-26	May-28	BB-	n/a	n/a
MP Development	EUR	5.3	6.50%	Jul-26	Jul-27	n/a	n/a	n/a
GEL								
Cellfie	GEL	65	TIBR6M + 3.50%	Dec-23	Dec-26	BB-	100.00	12.33%
Tegeta Motors	GEL	15	13.50%	Aug-24	Aug-26	BB-	100.00	13.50%
Nikora Trade	GEL	60	TIBR3M + 3.25%	Oct-24	Oct-29	BB-	n/a	n/a
MFO MBC	GEL	30	TIBR3M + 4.25%	Dec-24	Dec-26	B+	n/a	n/a
MFO MBC	GEL	30	TIBR3M + 4.00%	Apr-25	Apr-27	B+	n/a	n/a
Nikora Trade	GEL	60	TIBR3M + 3.50%	Jul-25	Jul-30	BB-	n/a	n/a
Georgian Healthcare Group	GEL	350	TIBR + 3.75%	Sep-25	Sep-30	B+	n/a	n/a
Nikora	GEL	60	TIBR3M + 3.50%	Sep-25	Sep-30	BB-	n/a	n/a
MFO MBC	GEL	30	TIBR3M + 4.00%	Oct-25	Oct-27	B+	n/a	n/a
MFO Rico Express	GEL	200	TIBR1D + 3.00%	Dec-25	Dec-30	B+	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	260	TIBR6M + 3.00%	Dec-25	Dec-30	BB-	n/a	n/a
Nova	GEL	50	TIBR6M + 3.25%	Dec-25	Dec-30	B+	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	160	TIBR3M + 3.00%	Mar-26	Mar-31	BB	n/a	n/a

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე
წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარტი




ობლიგაციები

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)




წყარო: Bloomberg

ადგილობრივი კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი, მლნ ლარი



წყარო: სეზ

ადგილობრივი კორპორატიული საჯარო ობლიგაციების ნაშთი სექტორების მიხედვით




წყარო: სეზ



აქციები


Lion Finance Group (BGEO LN)



წყარო: Bloomberg

Lion Finance Group-ის (BGEO LN) აქციები დაიხურა 124.40 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +7.15% წინა კვირასთან შედარებით და +7.80% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 220 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 116.50 - 125.10 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 40 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 49.36 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +2.58% წინა კვირასთან შედარებით და +6.01% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 429 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 42.14 - 50.65 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 60 ათასი აქცია შეადგინა.

Georgia Capital (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 44.00 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +11.25% წინა კვირასთან შედარებით და -1.01% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 276 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 39.75 - 46.85 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 36 ათასი აქცია შეადგინა.



აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ.	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას.	P/E		P/B	
								2026F	2027F	2026F	2027F
Lion Finance Group	BGEO	GBP	124.40	5,377	24.5%	59.1%	33.8%	6.77x	5.81x	1.49x	1.23x
TBC	TBC	GBP	49.36	2,751	15.7%	-2.6%	21.6%	5.45x	4.74x	1.17x	1.02x
Halyk Bank	HSBK	USD	33.45	9,115	7.0%	34.1%	11.7%	4.77x	5.06x	na	na
Akbank	AKBNK	TRY	67.40	350,480	-19.6%	-1.7%	-3.4%	2.80x	2.37x	0.71x	0.55x
Garanti	GARAN	TRY	127.00	533,400	-18.0%	-14.4%	-11.5%	2.92x	2.40x	0.76x	0.61x
Isbank	ISCTR	TRY	12.36	309,000	-25.0%	-18.4%	-12.3%	2.05x	1.45x	0.47x	0.40x
PKO	PKO	PLN	109.00	136,250	17.0%	33.7%	28.0%	10.43x	9.40x	2.08x	1.91x
PEKAO	PEO	PLN	252.90	66,379	9.9%	16.0%	23.3%	9.95x	9.17x	1.74x	1.64x
Millennium	MIL	PLN	20.58	24,965	15.7%	30.1%	23.8%	10.86x	9.89x	2.02x	1.84x
Mbank	MBK	PLN	1,415.00	60,174	33.0%	50.0%	33.3%	12.09x	10.97x	2.30x	2.06x
BRD	BRD	RON	36.10	25,158	24.9%	79.2%	34.2%	13.84x	12.46x	2.05x	1.87x
Banca Transilvania	TLV	RON	37.46	40,843	27.6%	51.0%	41.9%	10.60x	9.68x	1.86x	1.70x
Komercni	KOMB	CZK	1,045.00	198,602	-16.1%	0.1%	-10.1%	10.86x	10.21x	1.52x	1.47x
Mean								7.95x	7.20x	1.51x	1.36x
Median								9.95x	9.17x	1.63x	1.55x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვათ ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქალაქის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ & თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0108, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111

კვლევები: research@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (4298)

საბროკერი: sales@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (4132)

საინვესტიციო-საბანკო მიმართულება: ib@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (7457)